# ინსპექტირების ანგარიში/ექსპერტიზის დასკვნა

1. **შედგენის თარიღი 22.08.2024წ.**
2. **შემადგინე ინსპექტორები/ექსპერტები :** *ბადრი ბარბაქაძე, ინჟინერ მშენებელი, 40 წლიანი სტაჟი, კონსტრუქტორი.*

3. **ინსპექტირების ობიექტის დასახელება:** *ქ. თბილისი, შალვა მშველიძის #18, (ს/კ 01.17.09.007.085). მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი (კორპუსი-B)*
4. **ინსპექტირების ამოცანა:** *მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.*

5. **გაფრთხილებული ვარ ჩემს უფლება-მოვალეობებზე, საქ. სსკ 370 მუხლით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე ინსპექტირების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის მოთხოვნებზე, რაზედაც ხელს ვაწერ:**

**ინსპექტორები/ექსპერტებ:**

/ბ.ბარბაქაძე/

6. **წარმოდგენილი დოკუმენტები:**

*მუშა პროექტი - გრაფიკული ნაწილი (შემსრულებელი-შ.პ.ს. „საქართველო-ისრაელის ბიზნეს ჯგუფი“).*

*წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე და მასში მოყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა დამოწმებულია შ.პ.ს. „საქართველო- ისრაელის ბიზნეს ჯგუფი“-ს მიერ*

7. **ინსპექტირების კვლევითი ნაწილი:**

*ქ. თბილისი, შალვა მშველიძის #18, (ს/კ 01.17.09.007.085). მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი (კორპუსი-B)*

*სამშენებლო ტერიტორია იმყოფება 8 ბალიან ზონაში. ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85.0 კგძ/მ2, თოვლის ნორმატიული დატვირთვა -50 კგძ/მ2*

*ექსპერტიზაზე წარმოდგენილია პროექტების კონსტრუქციული ნაწილი რომელიც მოიჩავს ძირითადი კორპუსის და მიწისქვეშა ავტოფარეხის ნახაზებს.*

*ა).დაპროექტებული ძირითადი კორპუსი წარმოადგენს მართკუთხა ფორმის 12 სართულიან (+ 2 სარდაფის სართული) შენობას გეგმაში გაბარიტული ზომებით ღერძებში 52.2 მ x 24.35 მ. სარდაფის სართულების სიმაღლეა 3.20 მ, ტიპიური სართულების - 3.30 მ. შენობის საანგარიშო სქემად მიღებულია ხისტკვანძებიანი მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი კარკასი, სადაც ძირითად მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენენ მონოლითური საძირკვლები, მონოლითური კოლონები, მონოლითური სიხისტის დიაფრაგმები და რიგელებზე დაყრდნობილი მონოლიტური გადახურვის ფილები.*

*შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციებია:*

1. *საძირკვლები:საძირკვლის ტიპად მიღებულია 1.0 მ სისქის მონოლითური რ.ბ. ფილა-როსტვერკი, რომელიც ნაწილობრივ ხიმინჯებით და ნაწილობრივ უშუალოდ დაყრდნობილია ძირითად ქანებზე (ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა) სიმტკიცის ზღვარით ერთღერძა კუმშვაზე 53.0 კგძ/სმ2 . ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების დიამეტრია 1.5მ, მინიმალური სიგრძე 8.05 მ და ჩაღრმავებულნი არიან ძირითად ქანებში არა ნაკლები 2.0 მ-სა.*
2. *სვეტები (პილონები): სვეტები ყველ სართულზე მართკუთხა კვეთებისაა სხვადასხვა ზომებით -1000x400 მმ, 800x400 მმ, 600x400 მმ და 400x400 მმ.*
3. *სიხისტის დიაფრაგმები: სიხისტის დიაფრაგმები წარმოდგენილია მონოლითური კედლევის სახით სისქით 250 მმ და 200 მმ.*
4. *გადდახურვები: გადახურვები წარმოდგენილია მონოლითური წიბოვანი რიგელებიანი ფილის სახით სადაც ფილის სისქეა 180 მმ ხოლო რიგელევის კვეთია 400x500 მმ ფილის სისქის ჩათვლით.*
5. *კიბეები: კიბეები მონოლითური რკინაბეტონისაა მუშა კვეთის სისქით 180 მმ.*
6. *კედლები: სარდაფის კედლები მონოლითური რკინაბეტონისაა სისქით 250 მმ, ხოლო სართულების შემომზღუდავი კედლების და ტიხრების მასალად პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია წვრილი ბლოკების თვითმზიდი წყობა სისქით 400 მმ და 200 მმ, რომელელთა სიხისტე კარკასის მუშაობაში გათვალისწინებული არ არის*

*რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 და B30 კლასების ბეტონი, A240c და A500k კლასის არმატურა.*

*პროექტს თან ახლავს სპეციფიკაციები და მასალათა ამოკრების უწყისები*

*შენობის მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულნი არიან მუდმივი და დროებითი დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე კომპიუტერული პროგრამის „ლირა-საპრ-2022“-ს გამოყენებით. მზიდი კონსტრუქციები დაპროექტებულნი არიან ანგარიშების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით და აკმაყოფილებენ სიმტკიცის და მდგრადობის ნორმებით წაყენებულ მოთხოვნებს.*

*პროექტი დამუშავებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, ინსპექტირების პროცესში გამოვლენილი შენიშვნები მუშა პროცეში გავლილი იქნა შემსრულებელ კონსტრუქტორთან, შესწორდა და პროექტი წამოდგენილი იქნა ახალი რედაქციით.*

**8. გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:**

1. *საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/1743 2008წლის 25 აგვისტოს ქ.თბილისში დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“;*
2. *საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/2284 2009წლის 7 ოქტომბრის ქ.თბილისში სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01,01-09);*
3. QRT/IB-7.1-01 ინსპექტირების პროცედურები.

**დასკვნა**

*ქ. თბილისი, შალვა მშველიძის #18, (ს/კ 01.17.09.007.085). მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი (კორპუსი-B)წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევათ დადებითი შეფასება და რეკომენდაცია დამტკიცებისათვის.*

**ინსპექტორები/ექსპერტები:** /ზ.ბარბაქაძე/

**ინსპექტირების დაწყების თარიღი** 10.08.2024 წ.
**ინსპექტირების დამთავრების თარიღი** 22.08. 2024 წ.

ზ. ა.